ოთარ ჯანელიძე *

საქართველოს ევროპული არჩევანი: ისტორია და თანამედროვეობა

მრავალი საუკუნის განმავლობაში ცნება „ევროპა" ქრისტიანულ სამყაროს აღნიშნავდა, რომელიც თავის იდენტობას უცხო – მაჰმადიანური სამყაროსაგან მიჯნავდა და განასხვავებდა. ქრისტიანობამ ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპის პოლიტიკური და კულტურული რაობის შექმნაში. საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობა ევროპის გამაერთიანებელ იდეოლოგიას წარმოადგენდა, ხოლო ეკლესია ევროპის გამამთლიანებელი პირველი ინსტიტუტი იყო. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე ქრისტიანობა განხეთქილებისა და რელიგიური ომების მიზეზიც არაერთხელ გამხდარა.

მოგვიანებით, ერი სახელმწიფოების წარმოშობის დროიდან, უფრო მეტად კი განმანათლებლობის ეპოქისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდიდან, „ევროპამ" პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა და იგი მუდმივი ცვლილებების, განვითარების, მოდერნიზაციისა და ადამიანზე ორიენტირებული ღირებულებების სიმბოლოდ იქცა. სხვაგვარად, ევროპა ეს არის ცივილიზაცია, რომელიც სისტემატურად განიცდის ცვლილებებსა და განვითარებას. ის არის ბერძნულ-რომაული და ქრისტიანული კულტურის მემკვიდრე და დგას განმანათლებლობის ისეთ იდეალებზე, როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, ძალაუფლების დანაწილება და ლიბერალური სავაჭრო გარემო.

ცხადია, ევროპა ყოველთვის ისეთი არ ყოფილა, როგორიც დღესაა. მან უდიდესი იმპერიების ხანა გამოიარა, როგორიც იყო რომის, ბიზანტიისა და კარლოს დიდის იმპერიები, ნაპოლეონის

---

* ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

ეპოქა. იყო ფაშიზმის, ნაციზმისა და სოციალიზმის დამყარების ცდები, დიქტატურა, ავტოკრატიზმი, ტოტალიტარიზმი. იყო დაპირისპირება, ომები, ნგრევა, მსხვერპლი, მაგრამ იყო ჰუმანიზმიც, რენესანსი, რეფორმაცია და განმანათლებლობაც, რომლებმაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ახალი ხედვა, ახალი სინამდვილე ჩამოაყალიბეს.

განვლილმა რთულმა გზამ და მიღებულმა გამოცდილებამ ევროპელი ხალხები იმ აზრამდე მიიყვანა, რომ შეურიგებლობას, კონფრონტაციასა სისხლის ღვრას მშვიდობა, თავისუფლება და ეკონომიკური კეთილდღეობა სჯობს. ნელ-ნელა პოლიტიკური რეჟიმები ხალხის მიერ არჩეული მმართველობებით შეიცვალა, ხელისუფლება დანაწევრდა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) და საზოგადოების კონტროლს დაექვემდებარა. დამკვიდრდა კანონის უზენაესობა და მიღწეულ იქნა შეთანხმება დემოკრატიის იმ პრინციპებსა და ღირებულებებზე, რომლებიც ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. ადამიანების თავისუფლება და თანასწორობა დაცულია კონსტიტუციით და არა მმართველების, მონარქების თუ ლიდერების ნებასურვილით.

მიეკუთვნება თუ არა ჩვენი ქვეყანა ევროპას? აღმოსავლეთი ვართ თუ დასავლეთი? აზია ვართ თუ ევროპა? ქართველისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კითხვებია: რადგან ამ შეკითხვებზე პასუხი განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ, მსოფლმხედველობრივ თუ კულტურულ ორიენტაციას.

უძველესი წარმოდგენების მიხედვით, სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი, მათ შორის ისტორიული კოლხეთი და კოლხეთის სამეფო ანუ ქართული სახელმწიფო, გეოგრაფიულად მთლიანად ევროპაში იყო მოთავსებული, რადგანაც იგი ევრაზიული კონტინენტის სწორედ ევროპულ ნაწილში მდებარეობდა. ძველი ბერძნული წყაროებიც (ძვ. წ. V ს.) ევროპად საბერძნეთს და მისგან

დასავლეთით მდებარე ტერიტორიებს მოიაზრებენ, რომელშიც საქართველოც შედის. ამიტომაც არიან ქართველები „უძველესი ევროპელები“, შედარებით დასავლეთევროპელებთან, რომლებიც ამ ხანაში ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული საისტორიო ასპარეზზე.

ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად ანტიკური ბერძნული კულტურა და ცივილიზაცია ითვლება. თვით ბერძნული, „ელინური“ კულტურა კი თავისი ფესვებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან, რომელთა ფორმირებაში, როგორც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე შენიშნავდა, ქართულ ტრადიციებსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა.[1]

აქ საინტერესო იქნება გავიხსენოთ ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერი მიშელ მუსხელი – მიხეილ მუსხელიშვილი, რომელიც ერთ-ერთი პირველი ასაბუთებდა ევროგაერთიანების აუცილებლობას. იგი წერდა: „ევროპელობა განისაზღვრება არა გეოგრაფიით, არა რასით, არა ენით და არა წეს-ჩვეულებებით, არამედ მისი სულის გარკვეული თვისებებით. დასავლური ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, საქართველო ევროპის შემადგენლობაში იყო; რუსეთის ანექსიამდე, მისი მზერა ყოველთვის დასავლეთისკენ იყო მიმართული, ამიტომ დადგა დრო, რომ ქართველებმა გააცნობიერონ თავიანთი ევროპული იდენტობა“ და დაადგნენ მის ორიენტაციას.[2]

როგორი იყო საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ისტორიულად და როგორია ქართველი ხალხის არჩევანი დღეს? ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „საქართველო

[1] თ. გამყრელიძე, რატომ არის საქართველო ევროპის ნაწილი და რატომ არიან ქართველები უძველესი ევროპელები, http://science.org.ge/old/cevrebi/statiebi/2/Ratom%20aris%20saqartvelo%20evropis%20nawili.pdf

[2] https://for.ge/view/9935/evrointegracia-da-saqarTvelo.html

წარსულში ,,ორიენტაციას" ყოველთვის იქით მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა".[3]

საისტორიო წყაროებით დადასტურებული საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პირველი არჩევანი მისსავე სარწმუ-ნოებრივ არჩევანს უკავშირდება და IV საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება. ცნობილია, რომ „წმინდა ნინოსა ცხოვრებისა და „მოქცევაი ქართლისა"-ის მიხედვით, ქართლის მეფე მირიანის გადაწყვეტილება, მიეღო ქრისტიანობა, თხოთის მთაზე მომხდარ სასწაულს დაეფუძნა. მაგრამ აუცილებელია ითქვას, რომ მირიანის არჩევანი მარტო სასწაულის ეფექტით არ ყოფილა განპირობებული. როგორც ჩანს, მეფემ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ იმ დროის ქართლი კარგა ხნის განმავლობაში რომაულ ორბიტაში იყო მოქცეული და მასთან პოლიტიკურის გარდა, მჭიდრო კულტუ-რული კონტაქტებითაც იყო დაკავშირებული. ამასთან, ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილებაც – ორ დაპირისპირებულ სამყაროს – აღმოსავლეთს (ირანი) და დასავლეთს (რომი) შორის უპირატე-სობის ამ უკანასკნელისათვის მინიჭება, ანუ პოლიტიკური ორიენ-ტაციის რომზე აღება. აქვე აუცილებელია ითქვას, რომ კულ-ტურათა დიალოგს ქართველთა და რომაელთა შორის დასაბამი გაცილებით ადრე, წარმართობის ეპოქაში მიეცა.[4]

ამ არჩევანმა ქართული კულტურული, პოლიტიკური თუ რელიგიური იდენტობა ხანგრძლივად და მყარად განსაზღვრა. გან-საკუთრებით უნდა ითქვას სარწმუნოების შესახებ, რადგან მართლ-მადიდებლური ქრისტიანობა ქართველი ერის თვითმყოფადობის არა მხოლოდ ერთ-ერთი მთავარ ნიშნად იქცა, იგი ამ იდენტობის

[3] ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე. ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბ., 1998, გვ. 18.

[4] ნ. პაპუაშვილი, საქართველოსა და რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობები: მითოსი და რეალობა. https://davidtinikashvili.wordpress.com/

შემანარჩუნებელ გარკვეულ ძალადაც მოგვევლინა და ასეთად რჩება დღემდე.

საქართველო ერთგულად იცავდა ვახტანგ გორგასლის ანდერძს – „სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტოებთ“. VI საუკუნის შუა ხანებში, 554 წელს, ეგრისელებს, თვით ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი, როცა ბიზანტიელმა სარდლებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მათი მეფე, არ უარყვიათ არჩეული დასავლური ორიენტაცია და არ მიმხრობიან სპარსეთს, რომელიც კონსტანტინოპოლის მომძლავრებული აგრესიის ვითარებაში მხოლოდ დროებით, სიტუაციურ მოკავშირედ წარმოედგინათ.

შემდგომ პერიოდებში, ქართველ ხალხს ისტორიის ავბედობის გამო არაერთხელ მოუხდა პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვა, ძველის უარყოფა და ახლის არჩევა. ეს პროცესი არცთუ იშვიათად საზოგადოებაში გაბატონებული ღირებულებების გადაფასებას, მათ შეცვლასაც განაპირობებდა. პირველწყაროთა მოწმობით, საქართველო თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის მანძილზე უფრო ევროპული მისწრაფების ქვეყანას წარმოადგენდა. იგი ჯერ კიდევ მაშინ იყო დასავლეთის სივრცის ნაწილი, როცა თანამედროვე ევროპის წამყვანი სახელმწიფოები არც კი წარმოშობილიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ბევრ დასავლურ ღირებულებას, რომელიც დღეს საკაცობრიო პროგრესსა და ცივილიზაციურ-კულტურულ დონეს განსაზღვრავს, სათავე სწორედ იმ დროს, ძველ საბერძნეთსა და რომში დაედო. ბერძნული ფილოსოფია, პოლისების დემოკრატია, რომაული სამართალი და ქრისტიანობა იყო ის ძირითადი საფუძველი, რამაც შემდგომში გაგრძელება და განვითარება პოვა ევროპულ უნივერსიტეტებში, რენესანსსა და რეფორმაციაში, ჰუმანიზმსა და განმანათლებლობაში, ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში, კანონის უზენაესობასა და სხვისი თავისუფლების პატივისცემაში, ხელისუფლების დანაწევრებაში, სასამართლოს დამოუკიდებლობაში და სხვა. საქართველოს

ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა როგორც ძველ საბერძნეთთან, ისე რომის იმპერიასთან და მიუხედავად იმისა, რომ ეს შორეულ წარსულში იყო, ამ ურთიერთობებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ზოგიერთი აღნიშნული ფასეულობა, რომლებსაც ქართველობა ადრევე ეზიარა, ადამიანთა ცნობიერებაში ღრმად აღიბეჭდა და ისინი ერის კოლექტიურმა მეხსიერებამ აქამდე შემოინახა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველო მხოლოდ თვითონ კი არ მიილტვოდა დასავლეთისაკენ, რიგ შემთხვევებში იგი თავად ექცეოდა ევროპის ამა თუ იმ სახელმწიფოს ინტერესთა სფეროში. კონტაქტებსა და კავშირურთიერთობებს სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობდა ქრისტიანულ კულტურასა და ცივილიზაციაზე დაფუძნებული დასავლეთისა და საქართველოს სულიერი სიახლოვეც. აღსანიშნავია, რომ უკვე XVII საუკუნის ბოლოდან დასავლეთ ევროპულ ისტორიულ და გეოგრაფიულ თხზულებებში შეჰქონდათ საგანგებო თავები საქართველოს შესახებ. მაგალითად, დე ლა კრუას ,,საყოველთაო გეოგრაფია," ტომას სალმონის ,,მსოფ-ლიო ყველა ქვეყნისა და ხალხის თანამედროვე მდგომარეობა," კ. ფ. ლამბერის ,,საყოველთაო ისტორია" და სხვა.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა ბიზანტია გაანადგურა და მისი ადგილი დაიკავა, საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის გზები მოეჭრა, ამასთან, ერთიანი ქართული სამეფოც დაიშალა, მაგრამ ქართველი ხელისუფალნი მაინც მიელტვოდნენ დასავლეთთან გაწყვეტილი კავშირების აღდგენას.

თანამედროვე გააზრებით, დასავლეთი და აღმოსავლეთი ეს ადამიანის თვითრეალიზაციის ორი სრულიად განსხვავებული გზაა, ორი ეგზისტენციალური პარადიგმაა. თუ აღმოსავლეთი-სათვის დამახასიათებელია კოლექტივიზმი, ნორმათა მდგრადობა და შედარებითი უმოძრაობა, დასავლეთი ის ცივილიზაციაა, რომლისთვისაც განმსაზღვრელია ადამიანის მობილურობა, ინდი-ვიდუალიზმი ანუ ინდივიდის ცენტრალურ ღირებულებად აღი-

არება.[5] ცხადია, ფეოდალურ საქართველოში დასავლური სამყარო ამგვარი შინაარსით აღქმული ვერ იქნებოდა და არც ყოფილა, მაგრამ ქართველ მეფე-მთავრებს მზერა მაინც მისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. საქართველოს პოლიტიკური ელიტისა და ქართული ცნობიერებისათვის დასავლეთი იმ დროს უწინარესად ქრისტიანული სივრცე იყო, რომელიც განიხილებოდა როგორც პოტენციური მოკავშირე თავისუფლებისა და მაჰმადიანური აგრესიისაგან თავდახსნისათვის ბრძოლაში. ამ ეპოქის ქართული საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ევროპა უფრო უსაფრთხოების გარანტად წარმოედგინა, ვიდრე სულიერ მისწრაფებათა ორიენტირად, დასავლეთში ხედავდა იმედს და რეალურ ძალას, ვისაც ხელეწიფებოდა დახმარება აღმოეჩინა ქრისტიანობისათვის ტანჯული ქართველი ხალხისთვის. საქართველოს სწრაფვას დასავლეთისაკენ არსებითად ეს მოტივი განსაზღვრავდა. მაგრამ, იმავდროულად, ევროპასთან დაახლოებით ჩვენი ქვეყანა თავისი ბუნებრივი მდგომარეობის საწყისებთან დაბრუნებასაც იმედოვნებდა.

სულხან-საბას თანამედროვე ქართველები ევროპას „ფრანგეთს“, ხოლო ევროპელებს „ფრანგებს“ უწოდებდნენ. ზოგადად, „ევროპა“ და „ევროპელი“ ქართულ მეტყველებასა და მწერლობაში მოწინავის, განვითარებულის აღმნიშვნელი ცნება იყო.[6] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქის საქართველო დასავლეთს არ აღიქვამდა, როგორც ცივილიზაციურ არჩევანს ან განსაკუთრებულ ღირებულებით ფენომენს[7] მისთვის მიმზიდველი იყო არა იმდენად დასავლეთ ევროპული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური წყობა, რეფორმაციაგანვლილი ეკლესია ან ევროპაში გავრცელებული

[5] გ. ლებანიძე, დასავლეთი, თბ., 2000, გვ. 60-61.

[6] ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, წიგნში – სულხან-საბა ორბელიანი. თბ., 1959, გვ. 64.

[7] ო. ჯანელიძე, ქართული იდენტობა და პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი, ჟურნ. „ანალები“, 2015, # 11, გვ. 97.

სამეცნიერო, ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნება, რამდენადაც ამ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება, გარეშე მტერთაგან დაცული, მშვიდობიანი და უსაფრთხო ყოფა, რასაც თვითონ ხანგრძლივად მოკლებული იყო.

ისე მოხდა, რომ დასავლეთმა საქართველოს პრაქტიკული დახმარება ვერ გაუწია. ამას სხვა ფაქტორებთან ერთად, ევროპისაგან საქართველოს მოშორებით მდებარეობაც განაპირობებდა. როგორც გრიგოლ რობაქიძე წერდა: „გეოგრაფია იყო ჩვენი ტრაგედია“. საქართველო მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა დაიპყრო და თავის ორბიტაში მოაქცია.

რუსეთთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოების ნაწილი მოელოდა, რომ ამ გზით ჩვენში ევროპული კულტურის, ცოდნისა და განათლების შუქიც შემოაღწევდა. ალექსანდრე ჭავჭავაძე წერდა: „განიხსნა გზა და ეშვათ ქართველთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“, მაგრამ ეს ამაო ოპტიმიზმი იყო. ქართველებს ამ კუთხითაც იმედგაცრუება ელოდათ, რადგან როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავდა: „საქართველოს გაევროპელება XIX საუკუნეში „გარუსებას უფრო ჰგავდა“.[8]

1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრიობის აღდგენითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით საქართველო კვლავ აღიბეჭდა ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. ჩვენს ქვეყანას მიეცა შანსი „დაბრუნებოდა ევროპულ ოჯახს“. ნოე ჟორდანია ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი დღევანდელი ცხოვრება და მომავალი გზა-კვალი მჭიდროთ, უშუამავლოთ გადაეჯაჭვა დასავლეთს და ამ კავშირის გაქარწყლება არ ძალუძს არავითარ ძალ-ღონეს. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს. ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ“ და იმასაც დასძენდა, რომ საქართველო ხელცარიელი და სამოწყალოდ არ მიდიოდა ევროპაში.

[8] ვ. კოტეტიშვილი, აზიისაკენ, წიგნში – ევროპა თუ აზია? თბ., 1997, გვ. 200.

„ჩვენ მოგვაქვს ორი ათასი წლის კულტურა, ბუნებით მდიდარი და მშვენიერი ქვეყანა; მოგვაქვს უაღრესი დემოკრატიული წყობილება, დემოკრატიული შემოქმედება და მოვითხოვთ შესაფერ ადგილს აზიის ყურეში“.[9]

დასავლეთის მრავალმა ქვეყანამ ცნო საქართველოს სუვერენული სახელმწიფოებრიობა, ზოგმა მასთან დიპლომატიურის გარდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაც დაამყარა და სხვ. თუმცა ამ ურთიერთობებს განვითარება არ ეწერა. ბოლშევიკურმა რუსეთმა და 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ანექსია განახორციელა და იგი კვლავ თავის გავლენას დაუმორჩილა.

ევროპულ კულტურულ სივრცეს არსებითად მოწყვეტილ ქვეყანას, რომელსაც თითქმის ორი საუკუნე „ხალხთა საპყრობილისა“ და ტოტალიტარულ „ბოროტების იმპერიაში“ მოუხდა ცხოვრება, საბჭოთა კავშირის დაშლამ დასავლეთთან დაახლოების პერსპექტივა კიდევ ერთხელ გაუჩინა. პოსტსაბჭოთა საქართველომ, განსაკუთრებით 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ, ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანების კურსი აირჩია. დასავლეთთან ინტეგრაცია ანუ ცივილიზაციურ ერთა ოჯახში შესვლა, ევროპულ და ევროატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და თავდაცვით სისტემებში ადგილის დამკვიდრება დღეისათვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია. იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გაიაზრება და კონსტიტუციურ დებულებასაც წარმოადგენს. დღეისათვის ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, საქართველოს ჯერ ევროპული პერსპექტივა მიენიჭა, შემდეგ კი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსიც. ყოველივე ეს ოპტიმისტურად განგვაწყობს. იმედი ვიქონიოთ, რადგან

[9] გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 16 იანვარი; გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 16 იანვარი.

საქართველოს აქვს ევროპული წარსული, ექნება ევროპული მომავალიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

გ. ლებანიძე, დასავლეთი, თბ., 2000, გვ. 60-61.

ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, წიგნში – სულხან-საბა ორბელიანი. თბ., 1959, გვ. 64.

ო. ჯანელიძე, ქართული იდენტობა და პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი, ჟურნ. „ანალები“, 2015, # 11, გვ. 97.

ვ. კოტეტიშვილი, აზიისაკენ, წიგნში – ევროპა თუ აზია? თბ., 1997, გვ. 200.

გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 16 იანვარი; გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 16 იანვარი.

Otar Janelidze

Georgia's European choice: history and modernity

Summary

Does Georgia belong to Europe? Is it east or west? Are we Asia or Europe? The questions are vital to Georgia because the answer to them determines the political, ideological or cultural orientation of the country.

During its existence, Georgia represented a country with European aspirations. It not only turned to the West, but in a number of cases was in the sphere of interests of that or another European state. This, among other factors, contributed to the spiritual closeness of the West and Georgia, based on Christian culture and civilization.

Despite that, the West was not able to provide practical help to Georgia, which largely determined the fact that Georgia was conquered by its northern neighbor - Russia and, introduced into the imperial orbit of the Romanovs.

With the restoration of statehood and the creation of the Democratic Republic of Georgia on May 26, 1918, our country got a chance to "return to the European family". In 1918-1921, many countries of the West recognized the independence of Georgia, some, of them established commercial and economic contacts with it in addition to diplomatic ones. However, these relationships did not develop. Bolshevik Russia occupied Georgia in February-March 1921, and was again submitted to its influence.

The collapse of the Soviet Union gave our country the prospect of getting closer to the West once again. Post-Soviet Georgia, especially after the Revolution of 2003, chose the course of unification in the Euro-Atlantic space. Integration with the West, establishing a place in the European and Euro-Atlantic political, economic and, defense systems is currently the main priority of Georgia's foreign policy.